საქართველოს ყველა ერის გაერთიანდეს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№57 (6433) 11 მაისი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

26 მაისს პრეზიდენტის არჩევნებია

მხარს უჭერენ გამსახურდიას

7 მაისს გაიმართა სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომელთა კრება.

სიტყვით გამოსულებმა ვახტანგ დარახველიძემ, ჯანსუღ ჩოგოლაშვილმა, რეზო სალინაძემ, ამირან სილაგაძემ, გუგული ნემსწვერიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ეკონომიკური აღორძინება, მივიღოთ აქტიური მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში და ხმა მივცეთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინამძღოლს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ამ აზრს კრების ყველა მონაწილემ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

ბოლოს შრომითი კოლექტივის სახელით დეპეშები გაუგზავნეს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რომელშიც ნათქვამია, რომ სატყეო მეურნეობის 70 კაციანი შრომითი კოლექტივი მზად არის ხმა მისცეს 26 მაისს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

* * *

იმავე დღეს ასეთივე კრება გაიმართა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში. მიღებულ დადგენილებაში ჩაიწერა: მიგვაჩნია რა ბატონი ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის პრეზიდენტის ყველაზე ღირსეულ კანდიდატურად, ერთხმად ვუჭერთ მხარს, რასაც 26 მაისს გამოვხატავთ ერთსულოვანი ხმის მიცემით.

ასეთია დეპუტატთა პოზიცია

ცაგერის რაიონის ტვიშის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია (16 დეპუტატი), მაღალ შეფასებას აძლევს რა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდ დამსახურებას ეროვნულ მოძრაობაში, აგრეთვე მთელ მის მოღვაწეობას, საქართველოს სახელმწიფოებრივი სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გატარებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ღონისძიებებს, მიაჩნია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატად და მხარს უჭერს 26 მაისის ჭეშმარიტად ისტორიულ არჩევნებში.

სოფლის საკრებულოთა პირველი სესიები

8 მაისს გაიმართა ლასურიაშის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია დღის წესრიგით:

არჩევნები:

1. საკრებულოს სამანდატო კომისიის;
2. საკრებულოს მდივნისა და მდივნის მოადგილის;
3. საკრებულოს სარევიზიო კომისიის;
4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის;
5. საკრებულოს გამგებლის;
6. რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლის.

სესია გახსნა ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩარკვიანმა.

სესიამ აირჩია სამანდატო კომისია. მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის გ. მესხაძის მოხსენება, ცნეს ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები:

საკრებულოს მდივნად დახურული ფარული კენჭისყრით სესიამ აირჩია დავით მუშკუდიანი, მდივნის მოადგილედ არჩეულ იქნა ჟორა ახვლედიანი.

სარევიზიო კომისიასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიაში არჩეულ იქნა 3-3 დეპუტატი.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგებლად აირჩია როსტომ ბრეგვაძე. რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლად—ლელა ლომთაძე.

* * *

გაიმართა ალვის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

არჩეული იქნა სამანდატო კომისია.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მამუკა შკუბულიანის მოხსენება და ცნო ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები:

საკრებულოს მდივნად დახურული ფარული კენჭისყრით სესიამ აირჩია დავით მუშკუდიანი, მდივნის მოადგილედ არჩეულ იქნა ჟორა ახვლედიანი.

სარევიზიო კომისიასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიაში არჩეულ იქნა 3-3 დეპუტატი.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგებლად აირჩია როსტომ ბრეგვაძე. რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლად—ლელა ლომთაძე.

* * *

გაიმართა ტვიშის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ლაზარე ნემსწვერიძის მოხსენება, ცნო ყველა დეპუტატის რწმუნება და ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

გაიმართა არჩევნები.

საკრებულოს მდივნად არჩეულ იქნა ზაზა ჩაკვეტაძე, მდივნის მოადგილედ ნონა ასათიანი.

სარევიზიო და საზოგადოებრივი კომისიების შემადგენლობაში არჩეული იქნა 3-3 დეპუტატი.

სესიამ დახურული ფარული კენჭისყრით საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შოთა გოდოლაძე, რომელიც მუშაობდა ტვიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

რაიონულ საკრებულოში წარმომადგენლად არჩეულ იქნა ვ. მიქაუტაძე.

სესიის მონაწილეებმა გამოხატეს ერთსულოვანი ნება 26 მაისს უკლებლივ გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევას. მიიღეს მიმართვა.

სესიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რაიონის პრეფექტმა ტარიელ ალავიძემ.

გოლგოთიდან აღდგომამდე

„გაჰქრა ყვავილ! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე!“—ასე გამოხატა პოეტმა კოტე მაყაშვილმა ქართველი ხალხის ტკივილი, 1921 წლის 25 თებერვლით გამოწვეული. ჩაქრა და რუსული ღამის წყვდიადმა დაფარა მირიადი ვარსკვლავით განათებული თავისუფლების ცა. საქართველოს ისტორიაში დაიწყო კიდევ ერთი გოლგოთა. თუ ფარისეველნი ჯალათობას არ კადრულობდნენ, ბოლშევიკში ფარისეველი და სიხხლისმსმელი ჯალათი ერთად იყო შერწყმული. დაიწყო დიდი ომი ქართველთა გარუსებისა და ბოლშევიკური იმპერიის განუყოფელ ნაწილად ქცევისათვის. და ეს ომი უკვე 70 წელია მიმდინარეობს. ამ უთანასწორო ომს შეეწირა ქართველ მამულიშვილთა სიცოცხლე, უზომოდ დაღვარა ქართული სისხლი, ქართველთა მასობრივმა გაციმბირებამ სამშობლოს წაართვა უამრავი მოყვარული გული.

გასაბჭოებიდან მეორე, 1922 წელს, როცა ქართველი ჯერ კიდევ ძნელად თუ წარმოიდგენდა რუსეთის ბატონობის ქვეშ დიდხანს დარჩენას, ხევსურეთი აჯანყდა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. 1924 წლის აგვისტოში მთელ საქართველოში უნდა მომხდარიყო შეიარაღებული აჯანყება, ისევ ქაქუცამ იდო თავს მისი ხელმძღვანელობა. ორივე აჯანყება სისხლში და ცრემლში ჩაახშვეს ბოლშევიკებმა. 1924-მა წელმა შეიწირა ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. ერის უთავოდ დატოვებას ცდილობდა მტერი, რომ მერე უფრო ადვილად დაემორჩილებინა იგი. თავადაზნაურული ინტელიგენციის უმრავლესობა 24-ში გაწყვიტეს, გლეხკაცობის უკეთესი ნაწილი, სწორედ ის, ვისაც დიდი ილია ერის ძარღვს უწოდებდა. კოლექტივიზაციის წლებში გააკულაკეს და ციმბირის გზას გაუყენეს, ხოლო ვინც გადარჩა ამ მრისხანე ხანას, შემოქმედებითი თუ ტექნიკური ინტელიგენცია, საუკეთესო სტუდენტობა, 1937-მა შეიწირა. გაწყვიტეს ან ქვეყნიდან გააქციეს ყველა, თუ ვინმეს საზღვარგარეთ მიეღო განათლება, ვისშიც იყო ქართველი ხალხის საუკუნოებრივი მრწამსი და გამოცდილება, ვინც ერს წინ უნდა გაძღოლოდა. მხოლოდ სასწაულს შეიძლება მივაწეროთ ერთეულების გადარჩენა. უზენაესის განგებამ, დედაღვთისმშობლის ღოცვა-ვედრებამ თუ იხსნა დიდი კონსტანტინე, რომ მერე შობილიყო ბავშვი, ვინც ითაეებდა გზადაბნეული ერის გამოხსნას ბოლშევიკური რუსეთის ტყვეობიდან.

70 წლის მანძილზე არ შეწყვეტილა ბრძოლა თავისუფლებისათვის. ვასაბჭოების შემდეგ ეროვნული პარტიები იატაკქვეშა არალეგალურ საქმიანობაზე გადავიდნენ. ბოლშევიკების ბატონობის წლებში ყოველთვის არსებობდა საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც ფაქტიურად მოსპეს ერის საუკეთესო ნაწილი, ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა ახალგაზრდობამ აიღო ხელში, მათ, ვისაც ერგო ბედნიერება ესწავლა ერის მოჭირნახულე პედაგოგთან, მეცნიერთან, ცხოვრების გზაზე შეხვედროდა საქართველოს ბედზე მლოცველ მწერალს. ისინი ცოტანიღა იყვნენ დარჩენილი, მაგრამ მაინც ცდილობდნენ შემოებრუნებინათ ისტორიის უკუღმა დატრიალებული ბორბალი, წვრთნიდნენ და გეშავდნენ ახალგაზრდობას. ამის დასტურია 1942 წლის ქართველ ასპირანტთა და სტუდენტთა განუხორციელებელი შეთქმულება, რომელსაც კიდევ 17 საუკეთესო ახალგაზრდის, 17 ამირანტის სიცოცხლე შეეწირა. ბოლშევიკებმა უწყალოდ დახვრიტეს ისინი, თუმც მათი ქმედება განზრახვას არ გაცდენია; ამის დასტურია „ქეთოს“—საიდუმლო განმათავისუფლებელი ორგანიზაციის არსებობა, რომლის ბირთვს ახალგაზრდობა შეადგენდა და რომლის დიდმა ნაწილმა შემდგომ პოლიტპატიმრის მწარე ბედი იწვნია; ამის დასტურია გამსახურდიას ჯგუფის საქმიანობა, რომლის წევრები, ჯერაც პირტიტველა ყმაწვილები, სკოლის მოსწავლეები, 1956 წელს დააპატიმრა ხელისუფლებამ. სხვისი დროშით, მაგრამ მაინც ერის ღირსების გადარჩენის მიზნით გამოიდა 1956 წლის მარტში ახალგაზრდობა, ისევ ახალგაზრდობა იყო 1989 წლის მოვლენების ავანგარდში. მამის საქმენი ღირსეულად გააგრძელეს შვილებმა.

1921 წლის თებერვლიდან 1987 წლამდე ეროვნულ—განმათავისუფლებელი ბრძოლა არალეგალურად მიმდინარეობდა. იბეჭდებოდა პროკლამაციები, გამოდიოდა თვითგამოცემითი პრესა. 70-იან წლებში ზვიად გამსახურდიასეულმა გამოცემებმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „მატიანემ“ და სხვა მრავალმა უდიდესი როლი შეასრულა ერის გამოღვიძების პროცესში. იმ წლებში შექმნა მანვე ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის ჯგუფი, არსებობდა რესპუბლიკური პარტია, მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რესტავრაცია.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გოლგოთიდან აღდგომამდე

(დასასრული).

1987 წლიდან, მას შემდეგ, რაც სსრკ-ში დაშვებული იქნა ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციათა საქმიანობა, ქართული ეროვნული მოძრაობა გამოეღვიძა იატაკქვეშიდან. დაიწყო საკმაოდ ინტენსიური საქმიანობა საქართველოს მიმართ წარმოებული ეკოლოგიური ომის, ეროვნული სიმდიდრის ხელყოფის წინააღმდეგ. ამ ეროვნულ წინააღმდეგობას უკვე მძლავრ ძალად ქცეულ ახალგაზრდობას წინ უძღოდნენ უპირველესად ზვიად გამსახურდია და ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა, რომელიც 1987 წელს დაბრუნდა 10 წლიანი გადასახლებიდან. იმ წელსვე შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელსაც მოგვიანებით გამოეყო რადიკალური ფრთა-წმინდა ილია მართლის საზოგადოება. ჰელსინკის კავშირთან ერთად ეს საზოგადოება იქცა რესპუბლიკაში წამყვან ეროვნულ ძალად.

ხელისუფლება ცდილობდა არაფორმალურ ორგანიზაციათა საქმიანობა სასურველ ჩარჩოებში მოექცია, ამისათვის იგი ყოველ ღონეს ხმარობდა. რად ღირს თუნდაც რუსთაველის საზოგადოების შექმნის ისტორია. კომპარტია თვითონ გახდა ამ საზოგადოების შექმნის ინიციატორი და ფაქტიურად აქცია იმად, რასაც ერთი ეპიგრამისტი უწოდებდა—„ცეკას კოოპერატივად“. ეროვნული მოძრაობა შეეცადა ამ საზოგადოების გადარჩენას, რაც გამოიხატა აკაკი ბაქრაძისადმი დიდ მხარდაჭერასა და საზოგადოების პრეზიდენტად მის გაყვანაში. რუსთაველის საზოგადოების იმ ყრილობაზე შეიძლება ეს არც მომხდარიყო, რომ არა ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების თანადგომა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერდებოდა. ზვირთდებოდა და 1988 წლის ნოემბრის ამბებმა უკვე ცხადი გახადა, რომ ამ პროცესს უკვე ვეღარაფერი შეაკავებდა. აპოთეოზი ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპისა გახდა 1989 წლის 9 აპრილი, რომელმაც გამოავლინა ქართველი ... ხალხის უზენაესი სურვილი თავისუფლებისა და რომელიც ფაქტიურად ახალი ერის დასაწყისად იქცა. ეს იყო ტრაგედია, რომელმაც აამაღლა ქართველობა, უმანკო სისხლში ხელახლა იშვა ერთიანი ქართველი ერი და უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებული ლამის საუკუნოვანი ძილიდან, მომეტებული ენერგიით შეუდგა ბორკილების მსხვრევას. აპრილის იმ მღელვარე დღეების სულისჩამდგმელებიც და უპირველესი მებრძოლებიც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა გახლდნენ. ისინი წარუძღვნენ წინ ქართველურად გულაძგერებულ ახალგაზრდობას.

დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. 9 აპრილმა ჩვენი პატარა სამშობლოსაკენ გამოიხედა მსოფლიო, დემოკრატიული ძალები. კრემლის სისხლიანმა ტერორმა საპირისპირო შედეგი გამოიღო, კი ვერ დააშინა, პირიქით, განმტკიცა ქართველობა, გააღვიძა ეროვნული ცნობიერება, თავისუფლების იდეის გარშემო დარაზმა ხალხი. ოფიციალური ხელისუფლება ამან დაშინა და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა აიძულა. მოკლე ხანში შეიცვალა პრესა, რადიო, ტელევიზია, რომელთაც თანდათანობით დაეუფლა ეროვნული მოძრაობა. ამან გაბარდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბები. ხელისუფლება ვეღარ ბედავდა აშკარა ანტიეროვნულ პროპაგანდას, პირიქით, მანაც აღიარა ეროვნული იდეები. დაიწყო ენის, სიტყვის, რელიგიური თავისუფლების, პლურალიზმის დამკვიდრების პროცესი. იმ წელს პირველად აღინიშნა 26 მაისი — როგორც სახალხო დღესასწაული. დაიწყო მასშტაბური აქციები სამხედრო ბეგარის წინააღმდეგ. ამის მოყვა კომკავშირის გაუქმების, გიგანტური ჰესების მშენებლობის შეწყვეტის, არჩევნების ბოიკოტის აქციები, მოკლე დროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაქრა დამპყრობლის—ლენინის და მისი ქართველი აპოლოგეტების ძეგლები. საქართველომ სახე იცვალა. სერიოზულ პოლიტიკაში უკვე მასები ჩაებნენ.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იმის გაფიქრებაც კი, რომ კრემლის ხელისუფლების გარეგნული უმოქმედობა საქართველოში მის მიერ ფარ-ხმალის დაყრას ნიშნავდა. კრემლი იბრძოდა და დღესაც გამეტებით იბრძვის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ—აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ქვემო ქართლის მაშინდელი მოვლენები სწორედ ამ ბრძოლის შედეგია. ათასნაირი ხრიკებით ცდილობდა იგი ხელისუფლების შენარჩუნებას.

1990 წლის მარტში, როცა უნდა ჩატარებულიყო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ჭეშმარიტმა ეროვნულმა მოძრაობამ თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადა მას, ვინაიდან კიდეც რომ დავთანხმებულიყავით საბჭოთა სტრუქტურებში ჩართვას, არჩევნებში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა მისი არადემოკრატიულობისა და ერთპარტიულობის გამო. არჩევნების ბოიკოტის იდეამ საქართველოში გაიმარჯვა. 1990 წლის აპრილში ერთ კავშირში გაერთიანდა ყველაზე ეროვნული სულისკვეთების რამდენიმე ორგანიზაცია და შეიქმნა პოლიტიკური ბლოკი—„მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“. ბლოკის სპიკერი გახდა ბატონი ზვიად გამსახურდია. „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციების ინიციატივით, პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას თავდადებული ბრძოლით მიღწეული იქნა საქართველოში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომელმაც დაამხო ბოლშევიკური ხელისუფლება და ერის ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ პარლამენტს. ასე დამთავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი.

ეროვნულ მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად — გაპარტახებული ქვეყანა, დაქცეული ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ინფლაცია, კრემლის მიერ შემოგდებული ეთნიკური პრობლემები. ამიტომ მმართველმა პოლიტიკურმა ბლოკმა გამოცხადა გარდამავალი პერიოდი, რომელმაც საფუძველი უნდა მოუმზადოს ერის [illegible] ... ებას, საქართველოს დამოუკიდებელი [illegible] აღდგენას. პარლამენტის, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საქმიანობა აქედან გამომდინარე იყო გათვლილი, მაგრამ ეროვნული პარლამენტის ყოველ ნაბიჯს სსრკ-ს ხელისუფლება ეთნიურ პრობლემას უპირისპირებს, რათა დააქუცმაცოს, დაჩეხოს ერთიანი საქართველოს სხეული და თავისუფლების ოცნებაზე აღდგინოს ხელი ერს. ამიტომ საქართველოს უზენაესი საბჭო იძულებულია თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით კორექტივები შეიტანოს იმ პროგრამაში, რაც დასახული იყო გარდამავალი პერიოდისათვის. ამ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება წლეულს 9 აპრილს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა დე-იურედ. პოლიტიკა, რომელსაც ბატონი ზვიად გამსახურდია და ეროვნული პარლამენტი ახორციელებენ, საკმაებით შეესაბამება თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის იდეას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველა ქართველი დაინახავს ამ შეურიგებელ, უკომპრომისო და გონივრულ ბრძოლას საბჭოურ რეჟიმთან და 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის პირველ საყოველთაო არჩევნებში ხმას მისცემს ბატონ ზვიად გამსახურდიას—ყველაზე ღირსეულ კანდიდატს ამ პოსტზე.

ია ხმელიძე.

თვალსაზრისი

გამოყოფილი კომისიების საშუალებით მიმდინარეობს სოფლად არსებული სახნავ-სათესი მიწების აზომვა, ე. ი. დაზუსტება—რის მქონებელი ვართ. ეს ღონისძიება ნამდვილად დროული და აუცილებელია, თუმცა დაგვიანებული და შეიძლება ხელი შეუშალოს საგაზაფხულო სამუშაოებს.

ალბათ გამოყოფილი კომისიების დიდი პასუხისმგებლობა იქნება საჭირო, რომ მონაცემები ცალკეული სოფლების მიხედვით იყოს ზუსტი და ეს დამთავრდეს დროულად.

მიწის ბალანსის გამოყვანას, ჩემის ფიქრით, ის მნიშვნელობა ექნება, რომ შესაბამისად განისაზღვროს მიწის გასაცემი ნორმა ოჯახზე, შრომის უნარიანზე თუ სულზე. ამჟამად მიწები ხომ ისე აქვთ მითვისებული ცალკეულ ოჯახებს, რომ არ არის გათვალისწინებული არც ოჯახის შემადგენლობა, არც შრომისუნარიან წევრთა, ოჯახის სულთა რაოდენობა, არც მხედველობაშია მიღებული საკარმიდამო მიწის ოდენობა, არადა დღეს, როდესაც სახელმწიფო რესურსებიდან ბევრი არაფერია მოსალოდნელი, ყველა ოჯახს სჭირდება გარკვეული რაოდენობის მიწის ნაკვეთი, რომ თავისი შრომით შექმნას პროდუქცია და ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არ იყოს მიჩერებული მეზობლის მიერ მოწეული მოსავლის ბაზარზე შესყიდვას, რომელსაც ცეცხლი ეკიდება.

სტატისტიკური მონაცემებით რაიონში ამჟამად 1700 ჰექტარი სახნავი მიწაა, ამას ემატება ბაღები და ვენახები, თუ ეს სწორი ციფრია, არცთუ ცუდად იქნება საქმე. ამჟამად რაიონში ერთ სულზე (17 ათასი მცხოვრები) 1000 კვადრატული მეტრი სახნავი მიწა მოდის. საშუალოდ ერთი სული მეტის მოვლას ვერც შეძლებს, მით უმეტეს ამას ემატება საკარმიდამო ნაკვეთები.

ყველას სურვილია ახალგაზრდობა დარჩეს თავის რაიონში, თავის სოფელში, თუ წასულია დღეს — დაბრუნდეს—კი, მაგრამ ოჯახს თუ მიწის არცერთი კვადრატი არ ექნება, სხვისი შემყურე ხომ არ იარსებებს ეს ახალგაზრდა?

მიზანშეწონილად მიმაჩნია მიწების განაწილების დროს, მიწა მიეცეს ყველა ოჯახს დაწესებული ნორმის შესაბამისად. მხედველობაში ნუ იქნება მიღებული ის, რომ დღეს ამ ოჯახში პატარებია ე. ი. შრომისუუნაროები კიდევ მეტი, ზოგიერთ სოფელს სასაფლაოც არ აქვს, როცა ზემოთ ჩამოთვლილის დასაკმაყოფილებლად წიწა იქნება საჭირო, გლეხი განა მოგვცემს მასზე ხანგრძლივი ვადით მიმაგრებულ მიწას?

გლეხურ მეურნეობაზე, იჯარაზე თუ სხვა რაიმე წესზე გადავალთ, სოფელი ხელმძღვანელის გარეშე მაინც არ ივარგებს, მე მხედველობაში არა მაქვს კოლმეურნეობის აღდგენა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის აუცილებლობა, არამედ სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეული უნდა იქნას სოფლის ხელმძღვანელი პირი თუ პირთა ჯგუფი. რა ეწოდება ასეთ პირს თუ ჯგუფს, საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

აუცილებლად მიმაჩნია სოფლად მეცხოველეობის ფერმების აღდგენა—უკვე ცნობილია, რა ზიანი მიაყენა მოსახლეობას ფერმების გაუქმებამ, ხორცის ფასი გაიზარდა 20 მანეთამდე და მეტად. ყველისა—16 მანეთამდე. ფერმები სასურველია იჯარით გადაეცეს მსურველებს, მაგრამ არა თითო-ორი სული, როგორც ეს მოხდა ამას წინათ და კაცმა არ იცის, რა ბედი ეწია ამ პირუტყვს, ფერმა მთლიანად გადაეცეს მსურველთა ჯგუფს. პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით, არსებული სათიბები და საძოვრები არ უნდა გადაეცეს გლეხობას ხანგრძლივ სარგებლობაში, მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვისათვის გამოიყოს უნდა საძოვრების გარკვეული რაოდენობა.

საქმის უკეთ წარმართვისათვის ვამჯობინებდი სოფლების გამიჯვნას, გამართლებულად არ მიმაჩნია, ვთქვათ, უცხერელ გლეხს მიწა გამოეყოს ნაკურალეშის ტერიტორიაზე ან პირიქით. ცალკე სოფელი უკეთ მოუვლის თავის სატკივარს.

გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთ სოფელში, მოსახლეობის სიმცირის გამო, ოჯახზე თუ სულზე ნორმა მაღალი იქნება და ვერ შესძლებს ეს სოფელი მთლიანად მოვლას, არადა მიწას გამოუყენებლად ვერ დავტოვებთ—ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ზედმეტი მიწა გამოიყოს და არა ხანგრძლივად, არამედ დროებით ერთი წლის ვადით გაიცეს სხვა პირებზე, რომლებიც მოცემულ სოფელში არ ცხოვრობენ.

დასამუშავებლად უნდა იქნას გაცემული სარეზერვო ფონდის მიწებიც, მაგრამ ისიც დროებით, იმ ანგარიშით, რომ პირები, რომელთაც ამ ფონდიდან ექნებათ მიცემული მიწის გარკვეული რაოდენობა, მოთხოვნისთანავე ანუ საჭიროებისთანავე გადასცემენ მას სოფლის ხელმძღვანელობას საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად. ასეთი პირობა, ვფიქრობ, ჩაწერილი უნდა იყოს დადებულ ხელშეკრულებაში.

კ. ღურჭუმალიძე.

მე ასე ვფიქრობ

მე წინასწარ არ შემიძლია უარვყო ამ ოდენობის სახნავი მიწის არსებობა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი დარჩენილია სრულიად მიწის გარეშე, გამოდის, რომ არ არის მიწა ან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ძალზე დიდი ოდენობით აქვთ მითვისებული მიწა.

როგორც ჩემთვის ცნობილია, რაიონი ძირითადად გლეხურ მეურნეობაზე გადადის, მიმაჩნია, რომ ამ დროს უფრო სწორი გადაწყვეტილა საჭირო, რადგან გლეხს მიწა ეძლევა სასუფთრებაში საკმაოდ ხანგრძლივი ვადით, გამოდის, რომ ის ოჯახი, რომელსაც დღეს არ ხვდება მიწის გარკვეული რაოდენობა, უმიწოდ დარჩება მომავალში. ეს, ბუნებრივია, უკმაყოფილებასა და გაუგებრობას გამოიწვევს.

ან მოხუცებია, შრომის უნარმოკლებულები. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ პატარასაც უნდა ჭამა და მოხუცსაც, რა მათი ბრალია, რომ დღეს ისინი შრომისუუნაროები არიან, პატარა რომ წამოიზრდება, მაშინ ვინ მისცემს მას თავის კუთვნილ მიწას?

ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია მიწების განაწილების დროს გამოიყოს მიწის სარეზერვო ფონდი, რომელიც ხანგრძლივ სარგებლობაში არ გადაეცემა გლეხს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ სტიქიური უბედურება კვლავ მოსალოდნელია — სამოსახლოები იქნება საჭირო, ყველა ხომ არ უნდა გადავსახლდეთ ბოლნისში თუ სხვა რაიონში. სოფლად, როცა ამის პირობები შეიქმნება, რაიმე მშენებლობა იქნება საჭირო, მოსახლეობის მიერ არჩეული უნდა იქნას სოფლის ხელმძღვანელი პირი თუ პირთა ჯგუფი. რა ეწოდება ასეთ პირს თუ ჯგუფს, საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

აუცილებლად მიმაჩნია სოფლად მეცხოველეობის ფერმების აღდგენა—უკვე ცნობილია, რა ზიანი მიაყენა მოსახლეობას ფერმების გაუქმებამ, ხორცის ფასი გაიზარდა 20 მანეთამდე და მეტად. ყველისა—16 მანეთამდე. ფერმები სასურველია იჯარით გადაეცეს მსურველებს, მაგრამ არა თითო-ორი სული, როგორც ეს მოხდა ამას წინათ და კაცმა არ იცის, რა ბედი ეწია ამ პირუტყვს, ფერმა მთლიანად გადაეცეს მსურველთა ჯგუფს. პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით, არსებული სათიბები და საძოვ-

სკოლა და ცხოვრება

უამრავმა პრობლემამ მოიყარა თავი სკოლებში, რომელთა გადაწყვეტა ერმა მასწავლებელს მიანდო. მასწავლებელი კი, მიმდინარე წლის შედეგების ზოგადი სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საოცარი სიმშვიდითა და გულგრილობით უცქერის, როგორ ჩამორჩა გუშინდელი საბჭოთა სკოლა ცივილიზებული ქვეყნების სკოლებს და თავის გასამართლებლად წარამარა იმეორებს: „რა ვქნათ, სწავლა აღარ უნდათო", ან კიდევ: „თუ სწავლა არ გინდათ, ბავშვებო, დაბრძანდით სახლში". საკითხავია, როდის, რომელ დროს უნდოდა ყველა ბავშვს სწავლა, და გარდა იოლი, სულერთია მასწავლებლისა, ვის აქვს სურვილი ბავშვების სახლში ჯდომისა. ერთი სასკოლო ასაკის ბავშვიც რომ ეგულვებოდეს ასეთი, ნებისმიერ წასწავლებელს მამულიშვილური სურვილი უნდა გაუჩნდეს და არ მოასვენოს.

რა უნდა სახლში ბავშვს? იქნება სწავლა კი უნდა, მაგრამ ამნაირი მასწავლებლები არ უნდათ! ვიფიქროთ, მეგობრებო, ამაზე. იყოს ოროსანი და ხუთოსანიც სკოლაში. განა სხვაგან არაა ასე? ან სხვა დროს არ ყოფილა? ამას იმისათვის ვუსვამ ხაზს, პირველ რიგში, რომ მოსწავლეთა გამოკითხვამ სირცხვილში ჩააგდო განათლების განყოფილების მუშაკებიც, როცა ის მასწავლებლები, რომლებიც წლების მანძილზე და ამჟამადაც სახელიან და თვალსაჩინოდ მიგვაჩნდა, მოსწავლეებმა კინაღამ უკან გამოგვაყოლეს. ზოგიერთს არც განათლების განყოფილების მუშაკები მოსწონთ დაბალი პროფესიულობისა და მყვირალობის გამო.

ერთ მაგალითს მოვიტან, საოცრად მოულოდნელსა და არასასურველს—ტყიშის საშუალო სკოლაში გვყავს ერთი მრავალგზის ნაქები მასწავლებელი, მისი სურათი ახლაც რაიონის მოწინავე მასწავლებელთა დაფაზეა და თითქმის მთელი სკოლის მოსწავლეები ითხოვენ მის შეცვლას, რადგან ყველა გაკვეთილზე ნერვულ, დაძაბულ სიტუაციებს ქმნის, ილანძღება, შეიძულა ბავშვები და ა. შ.

ასეთი შემთხვევები იშვიათი გამონაკლისი არ გახლავთ არც ამ სკოლისთვის და არც სხვა სკოლისათვის. ზოგიერთ სკოლაში (ოყურეში და ბარდნალა) პედსაბჭოზე სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობის მოუწესრიგებლობა. მოსწავლეთა გამოკითხვა და დირექციების აზრი ცხადყოფს, რომ არასასურველი მასწავლებელი მოსწავლის გამოგონილი არაა. აუცილებელია დირექტორებმა და განათლების განყოფილებამ დროულად იზრუნონ განათლებული და მომთხოვნი მასწავლებლებით სკოლების შევსებაზე. პენსიონერი მასწავლებლების შეცვლაზე და თავი შეიკავონ ხელშეკრულებების გაფორმებაზე. ეს არასასურველი აზრი მოსწავლეებისაგან მოდის და არ შეიძლება მისი სურვილად დატოვება.

სწავლების ხარისხი მომეტებულია იმ სკოლებში და იმ საგნებში, სადაც გონიერი, განათლებული, მკაცრი და ბავშვების მოყვარული ხელმძღვანელები და მასწავლებლები გვყავს. ხარისხი ამჯერად ციფრებით უნდა გამოვხატოთ, რადგან სხვა საშუალება ჯერჯერობით არა გვაქვს, საკმაოდ მოწონებული და საკმაოდ დაწუნებული კადრების შემხედვარე ასეთი მდგომარეობაა რაიონის სკოლებში: 2189 მოსწავლიდან 5-ზე სწავლობს 116 მოსწავლე, 4-ზე —593, ორზე—176. შეუფასებელი მოსწავლეა 1.

ეს საგანგაშო ციფრი არაა, ცუდი შედეგებია-თქო, ვერ ვიტყვით, მით უფრო, თუ იმასაც დავამატებთ, რომ ოროსანთა უმეტესობა უფროსკლასელებია და თითო ან ორი საგნით არიან ოროსნები. მე-9-მე-11 კლასებში ოროსანთა რაოდენობა დიდია ცაგერის, ლაცორიის, ორბელის და სხვა სკოლებში. ორბელის საშუალო სკოლის მე-11 კლასში 10 ოროსანია! თუმცა არავის ეკრძალება ორები წეროს და ოროსნები ჰყავდეს, მაგრამ 1 საგნით ოროსანი მოსწავლის ერთი ორიანი ეჰვს იწვევს ისევე, როგორც ეჰვს იწვევს დანარჩენი სამები.

მედლისათვის ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობრიობა სკოლის წარმატების საფუძვლად რჩება. ყველა საგნით ფრიადოსანი მოსწავლე სანთლით საძებარია და აღარცაა ეს ძებნა საჭირო, მთავარი ისაა, რომ სკოლადამთავრებულმა მოსწავლემ არჩეული პროფესიისათვის საჭირო საგნებში მიიღოს საჭირო ცოდნა და საამისოდ სკოლამ მოსწავლისათვის მიზნობრივად გამოიყენოს ფაკულტატური მეცადინეობები. ბევრ სკოლაში ფაკულტატივის საათები საერთოდ არაა გამოყენებული. ალბათ დირექციები თვლიან, რომ მაღალპროფესიული მასწავლებლები არა ჰყავთ ამა თუ იმ საგანში, ანდა არ იცნობენ მოსწავლეთა ინტერესებს. ამ მხრივ უფრო უკეთესადაა საქმე ცაგერის, ბარდნალის, ზუბის, ისუნდრის სკოლებში. დანარჩენ სკოლებში გათვალისწინებული არაა მასწავლებლის შესაძლებლობა და მოსწავლის ინტერესები, ანდა იგი ხელფასის შევსების წყაროა და არავითარი ღირებულება არ გააჩნია; მოგეხსენებათ საქართველოს ფინანსური გაჭირვების ამბავი, ამიტომ მომავალ სასწავლო წელს მაინც ნუღარ დავუშვებთ ფაკულტატური საათების „უყაირათოდ ხარჯვას".

მასწავლებელთაგან გაცდენების რაოდენობამ წინა სასწავლო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იკლო, რაც, ეტყობა, განპირობა იმან, რომ მიმდინარე წლის განათლების საბჭოს პირველსავე სხდომაზე გამოთქმული აზრი—გამუდმებული ბიულეტენებზე ყოფნა მასწავლებლისა სკოლასა და მასწავლეებს ვნებს, გაითვალისწინეს და გააფრთხილეს მასწავლებლები—ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ ინვალიდობის პენსია დაენიშნათ და სკოლას შელეოდნენ. ეს განცხადება კვლავაც ძალაში უნდა დარჩეს, რადგან სასიკეთო შედეგი გამოიღო. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დახელოვნების კურსები ტყუილი ცდენაა მასწავლებლისა, მაგრამ თვეობით გაცდენილ გაკვეთილებზე მეტად სასარგებლო არა მგონია იყოს. სასწავლო წლის პირველ ნახევარში კურსებზე მასწავლებელთა წასვლის გამოც ცდებოდა გაკვეთილები, მეორე სემესტრისათვის ეს საქმე შედარებით მოწესრიგდა.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში ბევრი არაფერი კეთდებოდა სასწავლო კაბინეტების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობისათვის. მასწავლებლებმა არაფერი გააკეთეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გაკვეთილების გათვალსაჩინოებისათვის. უმრავლეს სკოლაში კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა სახელადაა მარტო, არანაირი აუცილებლობა მათი არსებობისა არაა, მასწავლებლებს ხელფასის შესავსებ წყაროდ გაუხდიათ კაბინეტისათვის დაწესებული თანხა. შედარებით უკეთესადაა მოწყობილი კაბინეტები ცაგერის, ბარდნალის, ალპანის, ტვიშის, ლასურიაშის, ჩხუტელის, ოყურეშის სკოლებში, თუმცა აქაც შეიძლება დარჩეს მხოლოდ ფიზიკის, ქიმიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკა-ინფორმატიკის კაბინეტები. რაც შეეხება უცხო ენისა და რუსული ენის ცალ-ცალკე კაბინეტებად გამოყოფას, ამის აუცილებლობა ნამდვილად არაა ერთ-ენულ სკოლაში, მით უფრო, რომ არც ერთ სკოლაში არაა ისინი სწავლების შესაფერისად მოწყობილი. კვლავაც ფინანსური გაჭირვების გამო, სასწავლო წლის ბოლოსათვის სკოლის დირექციები და განათლების განყოფილება, ალბათ, ასე უკონტროლოდ, შეუმოწმებლად და ხელაღებით აღარ დაარიგებს კაბინეტის გამგეობის ხელფასებს.

ეკონომიკური შეჭირვების ჟამს

მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებით შეეშალა ხელი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობას. რაც ძირითადად ეკონომიური შეჭირვების ბრალია, თუმცა ასეც რომ არ იყოს, მაინც უკვე იმასაც მიუნიშნებენ, რომ აუცილებელიც არაა მათი არსებობა, გარდა ცაგერის საშუალო სკოლისა, რომლის ხელმძღვანელობაც ასაბუთებს, რომ ორი ჯგუფი უნდა დარჩეს მშობელთა სურვილებიდან გამომდინარეო. მომავალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებული იქნება ალბათ ყოველგვარი ზედმეტი სასწავლო ელემენტის და მათ შორის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გაუქმების საკითხიც.

ბევრი რამისგან უნდა განიტვირთოს სასწავლო დაწესებულებები—კერძოდ, აღარაა საჭირო კედლის გაზეთების რეგულარულად გამოცემა თითოეული კლასისაგან, რადგან არავითარი აღმზრდელობითი ღირებულება მას აღარ გააჩნია. დასაშვებია საიუბილეო გაზეთების გამოშვება არა კლასებისათვის, არამედ—სკოლისათვის. დანარჩენი საკითხები თუ პრობლემები შეიძლება გაშუქდეს ინტერესების მიხედვით შექმნილი კლუბების საშუაო ოთახებში. მოსწავლეთა უმეტესობა უარს აცხადებს სტანდარტული ფორმის ტარებაზე. მოითხოვენ ქსოვილისა და მოდელის შეცვლას. შესაძლებელია, სკოლებს მივცეთ უფლება, თავად შეარჩიონ, მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით, უფრო მოხდენილი და თანამედროვე სტილის სამოსი.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, გარდა ერთეული გამონაკლისისა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში არ შეიმჩნევა არავითარი სიახლეები, და არავის დაუძებნია მისი გარდაქმნის გზები და საშუალებები, არ დახვეწილა სტილი და სტრუქტურა. უფორმო და უშინაარსო მასობრივი მუშაობა გვქონდა ძირითადად თითქმის ყველა სკოლაში, ამიტომ აყენებენ მოსწავლეები და სკოლის დირექციები საკითხს გაირკვეს და დაკანონდეს მათი მუშაობის ფორმები, ნუ არის სტიქიური და დროს მინდობილი მათი საქმე.

მოსწავლეთა უმეტესობა თვლის, რომ საშუალო სკოლაში არაა საჭირო არსებობდეს ორი ორგანიზატორი—მასობრივი მუშაობისა და დირექტორის მოადგილედ გადაყვანილი ორგანიზატორი. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ გადაინაცვლოს ერთი პიროვნების ხელში და მანვე გაუკეთოს კოორდინაცია კლასის ხელმძღვანელთა საქმიანობას: ზოგს მიაჩნია, რომ კლასის ხელმძღვანელთა საქმიანობა გაცდენების აღრიცხვითა და ნიშნების გამოცხადებით იფარგლება მხოლოდ, ამიტომ შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც მოსწავლეები შევლენ და ამ საქმეს თავად შეასრულებენ, კლასის ხელმძღვანელობა კი გაუქმდეს. ამ საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს შესაბამის ორგანიზაციებში მუშაობა, ჩვენ ჩვენს მოსაზრებას მივაწვდით განათლების სამინისტროს, მანამდე კი ერთი რამ ცხადია—გაურკვეველი, თუნდაც შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის მქონე, ახალგაზრდის ხელში დატოვებული მოსწავლეთა გონებრივი დასვენებისა და კულტურული ცხოვრების საქმე წაგებული გვაქვს განათლების განყოფილებას მიზანშეწონილად მიაჩნია. სკოლების სურვილების გათვალისწინებით, განათლების სისტემაში შეიქმნას სპეციალური განყოფილება და, ვინაიდან ზემოდან არაფერს გვთავაზობენ, ამ ჯგუფმა იმუშაოს რეგიონის შესაფერისი საქმიანობის წარმართვისათვის, რეკომენდაციები შეიმუშაოს, საორიენტაციო დასაკვალიანებელი გეგმები, გასვლითი შემოქმედებითი მუშაობა აწარმოოს, რათა თვითდინებაზე არ იყოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა სკოლებში. სავსებით მოუთმენლად და გაუმართლებლად მიმაჩნია განათლების განყოფილებაში სპეციალური სამსახური არ მუშაობდეს ამ დარგში არსებულ პრობლემებზე ან სულაც არავინ მუშაობდეს.

ჭკუას არავის ვასწავლი, მაგრამ შეგონებისათვის მინდა იკობ გოგებაშვილის სიტყვები გავახსენოთ განათლების სფეროს მესვეურთ: „ბავშვებს ნურას დავაბრალებთ, მათ დიდი სურვილი აქვთ საგნების სფეროს გაგანიერებისა, გაფართოების, იგი ვიწროობას გრძნობს თავის სფეროში და სურს, გაიცნოს ის საგნები, რომელიც მისი გონების ჰორიზონტის განაპირას არიან და მიიღოს მათგან ახალი შთაბეჭდილება. ეს მოთხოვნილება ბავშვის ბუნებისა სწავლამ უთუოდ უნდა შეასრულოს. სწავლა კი მასწავლებელმა უნდა თავაუ გახადოს გამაცხოველებელი და ინტერესიანი".

ლელა ლომთაძე.

სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

ადამიანი, გარემო

ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული ადამიანთა ბედნიერი მომავალი. ადამიანებს სჭირდებათ ისედაც დასვრილი გარემოდან მიიღონ ხალასი, საკვებად ვარგისი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები. მცენარის მიერ წარმოქმნილი ორგანული ნაერთების, ამინომჟავების, ცილების, ფერმენტების, ალკალიდების, ვიტამინების დაგროვება ნიტრატების სახით და მისი ნიჭარბე უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე. ორგანიზმში მოხვედრილი ნიტრატები განიცდიან აღდგენას და წარმოიქმნება ნიტრიტები. ეს კი იწვევს სისხლის მძიმე დაავადებას—მეტაგემოგლობინიას, რის შედეგადაც სისხლი კარგავს უანგბადის შეთვისების და მის სხვა ორგანოებში გადაცემის უნარს.

ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმში ნიტრატი შეიძლება მოხვდეს სასმელი წყლის, ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების მიღებით, მათ ნიტრატებით დაჭუჭყიანებას კი იწვევს აზოტიანი და ორგანული სასუქების გადაზიდვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა. რესპუბლიკაში ყოველწლიურად შემოაქვთ 200.000 ტონაზე მეტი მინერალური სასუქები, საიდანაც 25 პროცენტი იკარგება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ფაუნაზე, მიკროფლორაზე და, რაც მთავარია, საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებისათვის ნიტრატების ნიჭარბე გამოვლინებული და აღრიცხულია კიტრში, პამიდორში, საზამთრო-ში, კომბოსტოში, ჭარხალში, კარტოფილში და სხვა. ყოველივე მათში ნორმის ზემოთ არსებული ნიტრატები და ნიტრიტები იწვევენ მოწამვლებს სხვადასხვა ფორმით. ამიტომ მოგმართავთ რაიონის მშრომელებს, ერიდეთ სასუქების უნორმო გამოყენებას ბაღებსა და ბოსტნებში, ნუ მიიღებთ საკოლმეურნეო თუ სხვა ობიექტებში შეძენილ ბაღჩეულ-ბოსტნეულ პროდუქტებს, რომლებსაც არ ექნებათ სათანადო სერთიფიკატი ან ჩვენი ლაბორატორიის მიერ გაცემული სპეციალური ნორმატივის ბარათი.

ნიტრატებისა და ნიტრიტების გამოვლენებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სპეციალისტის კვალიფიკაციასა და პრეპარატის ნორმალურ მუშაობას. ჩვენი ლაბორატორია კი მზადაა მომსახურებისათვის. შეძენილია სათანადო ხელსაწყოები, პრეპარატები, ინვენტარი და მიმდინარე წელს უკვე შეგვიძლია შევამოწმოთ ბაღჩეულ-ბოსტნეული პროდუქტები ნიტრატების შემცველობაზე. გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და პასუხისმგებლობა, გაუფრთხილდეთ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობას და ნუ დავუშვებთ საკოლმეურნეო ბაზრებში, საჩუქებისა და ვაჭრობის სხვა ობიექტებში შეუმოწმებელ პროდუქტებს. ჩვენ კი მზადა ვართ თითოეული მოქალაქის მომსახურებისათვის.

რ. გოდოლაძე.

ცაგერის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკვენახეობა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის აპრილის ბოლო რიცხვებში და მაისის პირველ ოცეულებში კლიმატურმა პირობებმა განაპირობა ვაზის დაჩქარებით ზრდა-განვითარება, რის შედეგად მცენარის ახლადგამოსულმა ყლორტებმა და ფოთლებმა ისეთ ფაზას მიაღწიეს, რომ მოსალოდნელია მისი ჭრაქით დაავადება, რომლის ერთეული შემთხვევები უკვე შეინიშნება. ამიტომ საჭიროა ვაზის წამლობის დაუყოვნებლივ დაწყება და ნისი დამთავრება, რაც შეიძლება, უმოკლეს ვადებში.

წამლობა უნდა ჩატარდეს შაბიამნის ერთპროცენტიანი ხსნარით ან ცინების 0,5 პროცენტიანი და კოლოიდური გოგირდის ერთპროცენტიანი ნაზავი ხსნარით, შესაძლებელია ხომეცინის 0,5—პროცენტიანი ხსნარის გამოყენებაც.

ცაგერის ზონის სიგნალიზაციისა და პროგნოზის დამკვირვებელი პუნქტი.

ნატო ახვლედიანს
იური გურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. სიკეთე, სიხარული და სიყვარული იყოს თქვენი ნუდმივი თანამგზავრი.

იზა და ირაკლი ჩაკვეტაძეები.

მაყვალა ამბროსის ასულ მეშველიანს
მურთაზ დავითის ძე ლარცულიანს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ, გემრავლებინოთ ქართველი ერი.

ცაგერის საშ. სკოლის პედკოლექტივი.

ლელა გიგას ასულ ჭაბუკიანს
კახა ნიკოლოზის ძე შარაშიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთმა სიკეთე, სითბო და სიწარული არ მოაკლოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

სოფელ დეხვირის ახალგაზრდობა.

ლელა გიგას ასულ ჭაბუკიანს
კახა ნიკოლოზის ძე შარაშიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და მშვიდობა ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. იხარეთ და იმრავლეთ.

თინიკო და თამრიკო ჭაბუკიანები.



ნათია თემურის ასულ სიღაგაძეს
იზა შაქროს ასულ შკუბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. გეყოფოდეთ ღმერთი აწ და მარადის.

ცაგერის საშუალო სკოლის X ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი.

გულო, რომან ახვლედიანებს

გილოცავთ შვილის, გოგიტას ბედნიერებას. კვლავ ჭრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

კოლია ჩაკვეტაძე ოჯახით.

მარინე დადაშის ასულ ჩაკვეტაძეს
თენგიზ ამბერკის ძე სიღაგაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

მზია, მურთაზ, ბახვა, კახა, გაგა სილაგაძეები.

ანგელინა ბენდელიანს
ავთო ხაგულიანს

გილოცავთ ნანატრი ვაჟის შეძენას. გამარჯვებული ევლოს ცხოვრების რთულ გზაზე. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი შვილების მფარველი.

რუბენ, მერაბ დავითულიანები, იური ბენდელიანი, ნუგზარ მამარდაშვილი, ბადრი თუთისანი ოჯახებით.

ქეთინო კოპალიანს
ბადრი თუთისანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის საამაყო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის VII—IX კლასის მოსწავლეები.

ღეინა ასანიძეს

გილოცავთ შვილების, თეასა და რამინის ბედნიერებას. შეექმნათ სასახელო ქართული ოჯახი.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მარი წველეგაშვილს
ამირან ახვლედიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.

თინა, ევტიხი, მევლუდ ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილიშვილისა და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ლეილა, ოთარ ხვადაგიანები ოჯახით.

ანგელინა და ავთანდილ ხაგულიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ოთარ ხეცურიანი, ნორა ლარცულიანი, მაყვალა ცხვედიანი, ლილი დავითულიანი, ნუნუ გელენიძე, თინა თუთისანი, ციცო კოპალიანი, ნანი ქომეთიანი.

ნინა ლეთოდიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას, სიყვარული, სიხარული და შვილთსიმრავლე დაბედებოდეს, ერის საამაყო შვილები აღეზარდოს.

ნეოლინე სალინაძე, მარინე ყორყოლიანი, იური, რობერტ, ავთანდილ გოლეთიანები.

ანგელინა, ავთო ხაგულიანებს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. აღგზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი.

ლეილა, ლელა, გელა, სოსო, ბახვა ხაბულიანები.

გაგუცა ლიპარტელიანს

გილოცავთ შვილის, მზიას ბედნიერებას. შეექმნას მტკიცე, ძლიერი ოჯახი. ღმერთი ყოფილიყოს მათი მფარველი.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები.

შვილები ბეძინა, დოდო, ლეილა, ნინელი, რძალი გულო, სიძეები ალიოშა მეშველიანი, ბორის ჩანქსელიანი, შვილიშვილები ფატიმა, მამუკა, მალხაზი, ირმა, შანუჩარი, გია, ნინო, ანა ოთარი, დები ნინა, ეოზია, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კატო პავლეს ასული
ბენდელიანი-გუგავა

დაკრძალვა 14 მაისს, სამშაბათს, სოფ ჩხუტელში.

ნერაბი, ვალერი ბენიძეები, გრიშა ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ კოპალიანი

ჯემალ, ბორის ჩაჩხიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი მესხაძე

ძმა ბენია, რძალი თამარი, ძმისშვილები მაყვალა, მარინე, მზია, სიძეები გოდერძი სვანიძე, გოჩა რობაქიძე, ბიძაშვილები და მამიდაშვილები იუწყებიან

ნინა დომენტის ასულ
მუშკუდიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მაისს, სამშაბათს, სოფ. ოყურეშში.

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის თანამშრომელი

ზაურ არტემის ძე კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურმან საღინაძეს დეიდაშვილის

ვერიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

გასწორება

ჩვენი, გაზეთის 7 მაისის ნომრის პირველ გვერდზე მოთავსებულ წერილში „თანადგომის სურვილით" ჩვენგან ობიექტური მიზეზით დაშვებულია უზუსტობა, მესამე აბზაცში „ნანული პლატონის ასულ ხვადაგიანმა—169 მანეთი" ნაცვლად უნდა იყოს— „სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მუშაკებმა დახმარების ფონდში შეიტანეს 169 მანეთი", შემდეგ როგორც ტექსტშია.

დედა ოლია, მეუღლე ელიკო, შვილები ელზა, ზაალი, და გულნარა, დისშვილები ნატო, პაატა, გოგიტა გზობავები, მამიდა ნადია კოპალიანი, ბიძები სამსონ კოპალიანი, ზურაბ თვარაძე, ბიცოლები ანიკო, ნორა თვარაძეები, მარო კოპალიანი, სიძეები გრიშა გზობავა, გრიშა ბახსოლიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, ბადრი მეავია, ბიძაშვილები ნანული, ნთელა, გურამ კოპალიანები, ენვერ, გურამ, პავლე, გოჩა, ციური თვარაძეები, მამიდაშვილები ანზორ, ლიანა გვიშიანები, სიდედრი ნინა, სიმამრი ალიოშა ხაბულიანები, ცოლისძმა, ცოლისდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ ასტერის ძე კოპალიანი.

დაკრძალვა 16 მაისს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

ზურაბ ჩიქოვანი, თემურ ჩორგოლიანი, გელა შკუბულიანი, იური ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა შკუბულიანი.

რძალი ქაჯანა, ძმისშვილები ვალერი, მალხაზი მესხაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი ვარლამის ძე მესხაძე

დაკრძალვა 12 მაისს, კვირას, სოფ. ლაილაშში.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო ვაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაილი კვატაშიძეს მამის

შოთა კვატაშიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები რუბენ, ეორა, ამირან, გენადი, ლეო კვირკამშვილები, ექიმიმე, გიზო გუგავები, კარლო, უჩა მეშველიანები, გივი ბერჯალიანი თანაუგრძნობენ გულო და ბიცინა გუგავებს დედამთილს და დედის

კატო გუგავას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა ყურაშვილი თანაუგრძნობენ ლარისა და ლია შკუბულიანებს დედისა და ბიცოლის

ვერა შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ პენიკო დავითულიანს დედამთილის

კატო გუგავას

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი". გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართი: 384140 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საამწყობო საამქროს —22-23

ტაქვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნოდარ ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა